

კიბერშეტევების როლი და მნიშვნელობა აშშ-ს, ბრაზილიისა და ინდოეთის ელექტრონული საარჩევნო სისტემების მაგალითზე

მარიამი რატიანი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე პოლიტიკის მეცნიერების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად.

საერთაშორისო ურთიერთობები

პროექტის ხელმძღვანელი: ტარიელ სიხარულიძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018

აბსტრაქტი

გლობალიზაციის, ინტერნეტიზაციისა და თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების პირდაპირპროპორციულად, სულ უფრო მეტად იზრდება ინტერესი და სურვილი სასურველი ინფორმაციის მოპოვებისაკენ. შედეგად მატულობს კიბერსივრცეში დანაშაულის ჩადენის ალბათობაც და გამოვლენის ხარისხიც. ამიტომ, პირადი ინფორმაციის დაცვისა და ხელმიუწვდომლობის საკითხი დღის წესრიგის მთავარი განმსაზღვრელი წინაპირობაა, როგორც მიკრო დონეზე, პიროვნებისთვის, ასევე მასშტაბურად, სახელმწიფოებისათვის. ნაშრომში განხილულია კიბერსივრცე და მისი მახასიათებლები, კიბერშეტევის გამომწვევი მიზეზები და მისი შედეგები. საკითხის კონკრეტიზაციისთვის, შემთხვევის შესწავლისა (case study) და შედარებითი ანალიზის დახმარებით განხილულია აშშ-ს, ბრაზილიისა და ინდოეთის მაგალითები. აქცენტი აღებულია ელექტრონულ საარჩევნო სისტემაზე და შესაბამისად, საარჩევნო პროცესში გამოვლენილ კიბერჩარევის ფორმებზე და მიღწეულ შედეგებზე. ამასთან ნაშრომში საუბარია იმ მიგნებებსა და პრიორიტეტებზე, რომლებიც დაისახა შექმნილი მდგომარეობიდან თავის დასაღწევად. კვლევა შეისწავლის ჩამოთვლილ სახელმწიფოებში კიბერუსაფრთხოების დონესა და მისი საჭიროების აუცილებლობას. გამოყენებული ქეისებზე დაკვირვების შედეგად ნაშრომში გამოიკვეთება კიბერშემტევის ინტერესები და მიზნები, მოქმედი აქტორების სტრატეგიული სამოქმედო გეგმის სპეციფიკა, ელექტრონული საარჩევნო სისტემის დადებითი და უარყოფითი მხარეები. ამასთან საინტერესოა თუ რა რეგულაციები არსებობს კიბერდანაშაულის წინააღმდეგ და რატომ არის თანაბარმნიშვნელოვანი როგორც პიროვნებისთვის, ასევე სახელმწიფოსთვის პირადი ინფორმაციის დაცვის გაძლიერება.

აღნიშნული ანალიზი მოგვცემს მნიშვნელოვან ინფორმაციას, რომელიც რეკომენდაციების სახით შეიძლება გამოყენებულ იქნეს საქართველოს ელექტრონული საარჩევნო სისტემის ჩამოყალიბებისა და შემდგომში მის განვითარების პროცესში.

ძირითადი საძიებო სიტყვები: საერთაშორისო ურთიერთობები, კიბერდანაშაული, კიბერუსაფრთხოება, კიბერსივრცე, ელექტრონული საარჩევნო სისტემა, არჩევნები, ელექტრონული ხმის მიცემის მანქანა (EVM), კიბერთავდაცვა, კიბერტერორიზმი.

Abstract

In the process of development Globalization, Internetization and the modern technologies are directly proportionate increasing the interest and desire to obtain the desired information. As a result, the probability of crime in cyberspace and the quality of detection is increased. Therefore, the issue of the protection and accessibility of personal information is a major determinant of the agenda as for the micro level, in personality, as in large scale in states. In this labor we discuss about cyberspace and its characteristics, causes of cyber attack and its results. To specify the issue and with the help of the case study and comparative analysis, it is reviewed the US, Brazil and India electronic electoral system, the cybercrime forms revealed in the election process and the achieved results. In this labor we talk about the findings and priorities that have been set in order to get out of the situation. The study will examine the level of cyber security in the listed countries and the necessity of its need. As a result of the surveillance of the cases, the work of Cyber Sheets interests and goals, the efficiency of the active actors' strategic action plan, the advantages and disadvantages of the electoral system. It is interesting to know what regulations are against cybercrime and why it is equally important for both the person and for the state to take the top of the protection of personal information.

This analysis will provide us with important information that can be used as a recommendation in the formation of electronic electoral system and subsequent development.

Keywords: International Relations, Cybercrime, Cyber Security, Cyberspace, Electronic Electoral System, Elections, Electronic Voting Machine (EVM), Cyber Diversity, Cyberterrorism